

ინფორმაცია  
საქართველოს კონტროლის პალატის დელეგაციის ოფიციალური  
ვიზიტის შესახებ ესპანეთის აუდიტორულ სასამართლოში  
(7-11 თებერვალი, 2007 წ.)

საქართველოს კონტროლის პალატის დელეგაცია, თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის ხელმძღვანელობით, ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა ესპანეთის აუდიტორულ სასამართლოს. დელეგაციის შემადგენლობაში კონტროლის პალატის თანამშრომელთა გარდა, იყვნენ საქართველოს პარლამენტის წევრები.

თანამედროვე აუდიტორულ ორგანოებს შორის ესპანეთის აუდიტორული სასამართლო, თავისი ბუნებითა და მასზე დაკისრებული ფუნქციით, რამდენიმე არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, განსაკუთრებით საყურადღებოა:

1. ესპანეთის აუდიტორული სასამართლო, როგორც უმაღლესი აუდიტორული ორგანოების ევროპული ორგანიზაციის (EUROSAI) პერმანენტული გენერალური მდივანი, იმყოფება საჯარო სექტორის აუდიტის სტანდარტების, მეთოდოლოგიისა თუ სხვ. ასპექტების განვითარების მიმდინარე პროცესის ეპიცენტრში და წარმოადგენს უახლესი ინფორმაციის პირველწყაროს.

2. ესპანეთის სამეფო, როგორც უნიტარული სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ფორმა, ეფუძნება რეგიონების ასიმეტრიულ ფართო ავტონომიას. ცენტრსა და რეგიონებს (თვითმმართველ ერთეულებს) შორის ურთიერთობის ესპანური მოდელის გათვალისწინებით, საქართველოს კონტროლის პალატისათვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს ცენტრალური და ადგილობრივი მაკონტროლებელი ორგანოების ურთიერთობა და მისი შედეგები.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის კანონის თანახმად, საქართველოს კონტროლის პალატას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების აუდიტის ჩატარების თვალსაზრისით მიენიჭა სრულიად ახალი უფლებამოსილება. შესაბამისად, მოწინავე ევროპული ქვეყნების გამოცდილების გაცნობა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ორგანიზაციისათვის, მასზე დაკისრებული ფუნქციების წარმატებით შესასრულებლად.

3. ესპანეთის აუდიტორული სასამართლო, როგორც კონტინენტური ევროპის მოდელი, ასრულებს ორ ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავებულ ფუნქციას: აუდიტისა და მართლმსაჯულების ფუნქციას.

4. ესპანეთის აუდიტორული სასამართლო აუდიტორულ საქმიანობაში

აქტიურად და წარმატებით იყენებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემებს (IT).

### ორგანიზაცია

ესპანეთის აუდიტორული სასამართლო შედგება 12 მოსამართლისაგან, რომელთაც 9 წლის ვადით ირჩევს პარლამენტი. აქედან, ერთი თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს; 12 მოსამართლიდან 6-ს ირჩევს პარლამენტის ზედა პალატა, ხოლო 6-ს – ქვედა პალატა. მათ მოეთხოვებათ 15-წლიანი პროფესიული ან აკადემიური საქმიანობის გამოცდილება.

ესპანეთის აუდიტორული სასამართლოს აპარატში 800 თანამშრომელია, რომელთაგან 600 პროფესიული საშტატო ერთეულია, ხოლო 200 – ადმინისტრაციული. რეგიონის აუდიტორულ ოფისში მოსამართლეთა რაოდენობა 1-7 წევრამდე მერყეობს. მათ რეგიონალური საკანონმდებლო ორგანო ირჩევს. თითოეულ რეგიონალურ აუდიტორულ ოფისში საშუალოდ 20-30 ადამიანია დასაქმებული.

განსაკუთრებით საინტერესოა აუდიტორული სასამართლოს შტატით განსაზღვრული პერსონალის შერჩევის პროცესი და თავისებურებანი. აპარატი ძირითადად დაკომპლექტებულია აუდიტორებით, ეკონომისტებითა და იურისტებით. შტატში ასაყვანად პირს რაიმე სახის გამოცდილება (ზოგადი ან სპეციალური) არ მოეთხოვება, აუცილებელია ჰქონდეს ბაკალავრის დიპლომი.

აუდიტორული სასამართლოს მოხელე ვალდებულია სასამართლოს მიერ შედგენილი პროგრამით ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდა და მოიპოვოს შესაბამისი სერტიფიკატი. სასერტიფიკაციო ტესტში შედის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათის საკითხები.

სასამართლო მუდმივად ზრუნავს აპარატის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ამ მიზნით ახორციელებს სპეციალურ სასწავლო პროგრამებს.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროგრამები განახლება მიმდინარეობს ყოველწლიურად და ისინი ორიენტირებულია უფრო პრაქტიკული ხასიათის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, ვიდრე თეორიული მასალის დამუშავებაზე.

სასამართლოს აუდიტის განმახორციელებელი 7 დეპარტამენტი დაყოფილია სფეროების მიხედვით. 5 დეპარტამენტი სახელმწიფო (საჯარო)

ადმინისტრაციის საკითხებზე მუშაობს, 1 – რეგიონალურ და 1-ც – მუნიციპალურ საკითხებზე.

სახელმწიფო (საჯარო) ადმინისტრაციის აუდიტით დაკავებული დეპარტამენტები სფეროების მიხედვით იყოფა ეკონომიკის, სოციალური

საკითხების, სოფლის მეურნეობის, სახელმწიფო საწარმოების და ა.შ. მიმართულებებზე.

აღსანიშნავია, რომ ესპანეთის აუდიტორული სასამართლო ფინანსურად დამოუკიდებელი ორგანოა. სასამართლო საკუთარ ბიუჯეტს წარუდგინს ფინანსთა მინისტრს, რომელიც ავტომატურად ასახავს მას კონსოლიდირებულ ბიუჯეტში.

სასამართლოს მართლმსაჯულებითი, აუდიტორული და საფინანსო ეკონომიკური საქმიანობა არ ექვემდებარება რაიმე ტიპის კონტროლს, რაც გულისხმობს სასამართლოს სრულ დამოუკიდებლობას. სასამართლოს აუდიტს არ ახორციელებს კერძო სექტორის დიდი ოთხეულის რომელიმე წარმომადგენელი ან საკანონმდებლო ორგანო, როგორც ეს ხდება არა ერთ სახელმწიფოში. სასამართლოს კონტროლს ახორციელებს მხოლოდ შიდა კონტროლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

### *შინაარსი*

1. ესპანეთის აუდიტორული სასამართლო პერმანენტულ საწყისებზე ასრულებს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების ევროპული ორგანიზაციის (EUROSAI) გენერალური მდივნის ფუნქციას და აქვეა განთავსებული ამ საერთაშორისო ორგანიზაციის სათავე ოფისი. შესაბამისად, ესპანეთის უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტი ერთგვარად იმყოფება საჯარო სექტორის აუდიტის სტანდარტების, მეთოდოლოგიისა თუ სხვა ასპექტების განვითარების მიმდინარე პროცესის ეპიცენტრში და წარმოადგენს უახლესი ინფორმაციის პირველწყაროს.

საქართველოს კონტროლის პალატისათვის, როგორც უმაღლესი აუდიტორული ორგანოების ევროპული ორგანიზაციის წევრისათვის, ინსტიტუციური გარდაქმნის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობას, რათა გაეცნოს წარმატებულ გამოცდილებასა და უკვე დამკვიდრებულ საუკეთესო პრაქტიკას.

2. ესპანეთის 17 ავტონომიური რეგიონი 8000 მუნიციპალიტეტს აერთიანებს.

მუნიციპალიტეტების დაახლოებით 60% 1000-ზე ნაკლები მოსახლისაგან შედგება, 139 მუნიციპალური ერთეული კი – 50 000-ზე მეტ მოქალაქეს აერთიანებს.

ცენტრსა და რეგიონებს (თვითმმართველ ერთეულებს) შორის ურთიერთობის ესპანური მოდელის გათვალისწინებით, საქართველოს კონტროლის პალატისათვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს

წარმოადგენს ცენტრალური და ადგილობრივი მაკონტროლებელი ორგანოების ურთიერთობა და მისი შედეგები.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის კანონის თანახმად, საქართველოს კონტროლის პალატას მიენიჭა სრულიად ახალი უფლებამოსილება, დაგეგმოს და ჩაატაროს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების აუდიტი. შესაბამისად, მოწინავე ევროპული ქვეყნების გამოცდილების გაცნობა არსებითია ორგანიზაციისათვის მასზე დაკისრებული ფუნქციების წარმატებით შესასრულებლად.

ესპანეთის 17 ავტონომიური რეგიონიდან 12 მათგანს აქვს საკუთარი, რეგიონალური აუდიტორული ორგანო, ხოლო 5 რეგიონის აუდიტს, ესპანეთის აუდიტორული სასამართლო ახორციელებს.

ესპანეთის აუდიტორულ სასამართლოს პირდაპირი და უშუალო ინსტიტუციური ურთიერთობა აქვს როგორც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოსთან (კორტესებთან), ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოებთან. კანონმდებლობით ეს უკანასკნელი ვალდებულია სათანადო დოკუმენტაცია აუდიტორულ სასამართლოს დროულად წარუდგინოს.

აუდიტორული სასამართლო რეგიონებს აკონტროლებს რეგიონის აუდიტორული ინსტიტუტებიდან მიღებული შესაბამისი ინფორმაციით. თუმცა, უფლებამოსილია, უშუალოდ ჩაერთოს აუდიტის პროცესში. რეგიონალური ადმინისტრაციული კონტროლის ამსახველი ინფორმაცია თავს იყრის აუდიტორულ სასამართლოში.

აუდიტორული სასამართლო ასევე უფლებამოსილია, განახორციელოს მუნიციპალიტეტების შემოსავლების აუდიტი. აღნიშნული ფუნქცია აკისრია

აუდიტორული სასამართლოს აპარატის ერთ-ერთ დეპარტამენტს. დეპარტამენტი ეყრდნობა როგორც მუნიციპალიტეტებიდან წარმოდგენილ ინფორმაციას, ასევე უფლებამოსილია, დამოუკიდებლად წარმართოს აუდიტი.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ავტონომიების შემოსავლები ძირითადად ცენტრიდან ტრანსფერებით ყალიბდება (ცენტრიდანულია). გადასახადების მნიშვნელოვანი ნაწილი თავს იყრის შემოსავლების სამინისტროში, მუნიციპალიტეტებს კი რჩებათ უმნიშვნელო ნაწილი, რაც განაპირობებს ტრანსფერის ცენტრიდან გამოყოფის აუცილებლობას. აუდიტორული სასამართლო ცენტრალური ხელისუფლების აუდიტის ფარგლებში სწავლობს მათ ფორმირებას.

მუნიციპალიტეტებში ასევე მოქმედებს შიდა აუდიტის უწყება, რომელიც

პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის წინაშე, თუმცა, კანონმდებლობა ითვალისწინებს მათ პირდაპირ ვალდებულებას, სათანადო დოკუმენტაცია წარუდგინონ ესპანეთის აუდიტორულ სასამართლოს.

მუნიციპალიტეტების გარდა, აღმასრულებელ და სხვა ორგანოებში მოქმედი შიდა აუდიტის სამსახური ასევე აქტიურად თანამშრომლობს აუდიტორულ სასამართლოსა და ესპანეთის საკანონმდებლო ორგანოსთან.

აუდიტორული სასამართლო ასევე ახორციელებს მუნიციპალიტეტების ეფექტიანობის აუდიტს. მუნიციპალიტეტები განიხილება როგორც ნებისმიერი სხვა საჯარო დაწესებულება (აუდიტის ობიექტი). აუდიტის საგანი მრავალფეროვანია, იქნება ეს მუნიციპალური მშენებლობა, უძრავი ქონება და მათი გამოყენება, კაპიტალის მართვა და სხვ. აუდიტორული პრაქტიკა აჩვენებს, რომ აუდიტის არასახარბიელო შედეგებიდან ძირითადი ნაწილი სწორედ მუნიციპალიტეტებზე მოდის.

მუნიციპალიტეტებსა და აუდიტორულ სასამართლოს შორის ურთიერთობა ელექტრონული ფორმით ხორციელდება. მუნიციპალიტეტებს აქვთ ფინანსური ცდომილებების გამოვლენის პროგრამული უზრუნველყოფა, რომლითაც ასევე სარგებლობს აუდიტორული სასამართლო.

3. ესპანეთის აუდიტორული სასამართლოს უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით. სასამართლო ასრულებს ორ, ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავებულ ფუნქციას: აუდიტისა და მართლმსაჯულების ფუნქციას.

აუდიტორული ფუნქცია გულისხმობს გამოვლინდეს ფაქტები და გააკეთდეს კვალიფიციური შეფასებები. დღესდღეობით ქმედებაზე პასუხისმგებლობა არ კვალიფიცირდება. იმ შემთხვევაში, თუ გამოვლენილ ფაქტებში სერიოზული ფორმალური და მატერიალური დარღვევების ნიშნები აღმოჩნდება, საქმე განსახილველად გადაეცემა აუდიტორულ სასამართლოს. ეს უკანასკნელი დაკავშირებულია მართლმსაჯულების ფუნქციის აღსრულებასთან.

აუდიტორული ფუნქციის მნიშვნელოვანი ნაწილია, მომზადდეს მთავრობის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშზე შესაბამისი დასკვნა. აღნიშნული პროცედურის ესპანური მოდელი სპეციფიკურია.

მთავრობა წინა საბიუჯეტო წლის შესრულების ანგარიშს საკანონმდებლო ორგანოში წარადგენს მიმდინარე წლის 31 ოქტომბრამდე. აუდიტორული სასამართლო აღნიშნული პერიოდიდან მომდევნო 6 თვეს უთმობს აღნიშნული ანგარიშის შესწავლას, რომ გამოხატოს საკუთარი პოზიცია ანგარიშში წარმოდგენილი

შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაციის სარწმუნოების თაობაზე.

საყურადღებოა, რომ ესპანეთის აუდიტორული სასამართლო, საზღვარგარეთის ქვეყნების რიგი აუდიტორული ინსტიტუტებისაგან განსხვავებით, არც ერთ სეგმენტში არ იყენებს კერძო სექტორის აუდიტორების მომსახურებას.

აუდიტის პროცესში გამოვლენილი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველი ინფორმაცია რეაგირების მიზნით ეგზავნება შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს. პრაქტიკა აჩვენებს, რომ არც თუ იშვიათად, აუდიტის სასამართლოს აზრით ამა თუ იმ ფაქტში დანაშაულის ნიშნების არსებობა, დამატებითი კვლევის წარმოების შემდეგ, შესაბამისი ორგანოების მიერ არ დადასტურებულა.

აუდიტის შედეგად სახელმწიფოს სასარგებლოდ გადასახადების გადაუხდელობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, აუდიტორული სასამართლო სათანადო რეაგირების მიზნით საგადასახადო ორგანოებს მიმართავს.

უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტის რეკომენდაციების შესრულება ემყარება მორალურ პრინციპებს და მათი სავალდებულო იმპლემენტაციის მექანიზმები არ არსებობს.

ესპანეთის აუდიტორული სასამართლოს არ გააჩნია გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე ობიექტის ან დამრღვევი მოხელისათვის სანქციის დაკისრების უფლებამოსილება.

აუდიტორული სასამართლო ახორციელებს როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის, ასევე მიმწოდებლის აუდიტსაც.

ესპანეთის საარჩევნო კანონმდებლობა ითვალისწინებს სახელმწიფოს, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების რეგლამენტირების საკითხს. აუდიტორული სასამართლო ახორციელებს პოლიტიკური პარტიების ფინანსების აუდიტს, რომელიც ემსახურება მხოლოდ გამჭვირვალობის პრინციპის დაცვას. ასეთ შემთხვევაში არ კეთდება აუდიტორული შეფასებები და შესაბამისი დასკვნები. თუმცა, პროფესიული შეფასების საგანი შეიძლება გახდეს დაფინანსების რეგლამენტირების წესების დაცვა.

სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, აუდიტის ობიექტს ზუსტად განსაზღვრულ გონივრულ ვადაში მოსთხოვის სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენა. არასაპატიო მიზეზით დოკუმენტაციის დროულად წარმოდგენლობის შემთხვევაში, თავმჯდომარე უფლებამოსილია, ობიექტს დააკისროს ჯარიმა. ამასთან,

დოკუმენტაციის წარმოდგენლობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველიც შეიძლება გახდეს.

რაც შეეხება მართლმსაჯულების ფუნქციას, ესპანეთის კონსტიტუციისა და სხვა მოქმედი კანონების თანახმად, აუდიტორული სასამართლოს მართლმსაჯულებითი ფუნქცია დაკავშირებულია მხოლოდ სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლის განსაზღვრასთან. ამდენად, აუდიტორული მართლმსაჯულების აღსრულება არ მოიცავს ადმინისტრაციულ, თანამდებობრივ და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ესპანეთის აუდიტორული სასამართლოს მართლმსაჯულების ფუნქცია უზენაესი და ექსკლუზიურია, რაც გულისხმობს იმას, რომ რეგიონებში აუდიტორული ორგანოები არ ფლობენ მართლმსაჯულების ფუნქციის განხორციელების უფლებამოსილებას.

ამასთან, აუდიტორული სასამართლოს მართლმსაჯულების ფუნქცია სამოქალაქო პასუხისმგებლობის განსაზღვრის თვალსაზრისით ექსკლუზიურია იმ გაგებითაც, რომ მისი გადაწყვეტილება არ ექვემდებარება სხვა ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრებას.

თუ ზიანი მიყენებულია სამართლებრივი ნორმების დარღვევის გარეშე, პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება. მაგალითად, ეფექტიანობის აუდიტის შედეგად გამოვლენილი არაეფექტიანი გადაწყვეტილების გამო სახელმწიფომ მიიღო გარკვეული ზარალი, თუმცა გადაწყვეტილების მიმღებს მოქმედი კანონმდებლობა არ დაურღვევია.

მართლმსაჯულების კუთხით საინტერესოა ის გარემოება, რომ ესპანეთის აუდიტორული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას უზრუნველყოფს თავად სასამართლო ანუ მას მართლმსაჯულების აღსრულების საკუთარი სისტემა აქვს და არ სარგებლოს იუსტიციის სამინისტროს ჩარჩოებში შექმნილი მართლმსაჯულების აღსრულების სისტემით.

4. ესპანეთის აუდიტორული სასამართლო აუდიტორულ საქმიანობაში აქტიურად და წარმატებულად იყენებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემებს (IT).

აუდიტორული სასამართლოს შემუშავებული პროგრამა CAGE წარმოადგენს სახელმწიფო (საჯარო) სექტორის მონაცემთა ბაზას, რომელიც შეიცავს დეტალურ ინფორმაციას საბიუჯეტო ორგანიზაციებზე, როგორც აუდიტის ობიექტებზე, მათ მიზნობრივ, საოპერაციო და ადმინისტრაციულ ხარჯებზე, ინფორმაციას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ და ა.შ. აღნიშნული პროგრამა

აუდიტორულ სასამართლოს საშუალებას აძლევს, რომ აუდიტის დაწყებამდე საფუძვლიანად დაამუშაოს საჭირო ინფორმაცია. ეს უკანაენელი კი ნაყოფიერი და ეფექტიანი აუდიტის აუცილებელი წინაპირობაა.

პროგრამა CAGE-ს გამოიყენება სამინისტროების შესახებ ინფორმაციის დასამუშავებლად. რაც შეეხება აუდიტის სხვა ობიექტებს, მათ შორის, მუნიციპალიტეტებს, მათ შესახებ ფინანსური ინფორმაცია მუშავდება სასამართლოს მიერ შექმნილი პროგრამა PROFOR-ით.

სასამართლოს მიერ ასევე შემუშავებულია პროგრამა OPERA, რომელიც შეიცავს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების ინფორმაციას. ამ ფორმატში მხარჯავი დაწესებულებების მიერ სახსრების ხარჯვის შესახებ დეტალური ინფორმაცია აისახება უკვე დასრულებული სახით, ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების (სკანირებული ფორმით) ჩათვლით.

შემუშავებულია და დანერგილია პროგრამა TEAMMATE, რომელიც გამოიყენება შიდა საქმიანობისათვის, საკადრო, დროის და სხვ. რესურსების სწორად გამოსაყენების მიზნით. აღნიშნული პროგრამა ფაქტობრივად არის „აუდიტი ქაღალდების გარეშე“. მასში მოცემული ინფორმაცია საშუალებას იძლევა, რომ წინასწარ, მეტ-ნაკლები სიზუსტით განისაზღვროს ამა თუ იმ კონკრეტული აუდიტისათვის დროის რა მონაკვეთია საჭირო, რამდენი ადამიანის მონაწილეობაა აუცილებელი და ა.შ. აუდიტის ჯგუფის მართვა სრულად ხორციელდება ამ ფორმატის გამოყენებით.

800 საშტატო ერთეულის გათვალისწინებით, ესპანეთის აუდიტორულ სასამართლოს შექმნილი აქვს TEAMMATE-ს 80 ლიცენზია. სასამართლო ასევე სარგებლობს პროგრამით – IDEA, სულ – 23 ლიცენზიით.

უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი ტიპის აუდიტორული ინსტიტუტის საქმიანობის გაცნობა და გამოცდილების გაზიარება, რომელიც რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ კონსტიტუციურ მოვალეობებს და ჯეროვნად ასრულებს მინიჭებულ კონსტიტუციურ პრეროგატივებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალ ეტაპზე მყოფი ინსტიტუტისათვის. ყურადსაღებია ინსტიტუციური ურთიერთობების როგორც ფორმალური რეგლამენტაცია, ასევე ხანგრძლივი დროის განმავლობაში პრაქტიკულად გამოიმუშავებული ტრადიციები.

მოპოვებული ინფორმაცია და შექმნილი გამოცდილება საქართველოს კონტროლის პალატისათვის ძალზე აქტუალური და ამავე დროს, სასარგებლოა, რადგან იგი ხელს შეუწყობს ინსტიტუტის დასავლურ სტანდარტებთან დაახლოების პროცესს.

